ნახ. ზ. ლეჟავასი

13/1961

# ნიანგი

ჩვენო მიწავ, ჩვენო ცისარო,
ჩვენო ზვარო, მზე და ოქროვ —
ზეიმს გიხდით, ზეიმს გიხდით
ჩვენო დიდებავ საქართველო!

შენ, ქვეყანავ მუდამ უხვიავ,
მუდამ ბრძენო, მუდამ ახალო,
გმირთა მხარევ — ათასი წლის, —
ორმოცი წლის ახალგაზრდავ.

ირაკლი აბაშიძე

№ 9
აპრილი
მაისი
1961
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1921 ორმოცი წელი 1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელები უდიდესი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავისუფლებისა და გმირულ შრომაში მოპოვებული გამარჯვების ორმოცი წლისთავს.

მოძმე რესპუბლიკების ხალხებს, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა მშრომელს ახარებს ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარების საფუძველზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავისუფლებისა და გამარჯვების დიად დღესასწაულს ხვდებიან იმ დროს, როცა უდიდესი აღფრთოვანების დღეებია მთელს ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავიანთ უდიდეს სიამაყეს და აღფრთოვანებას გამოსთქვამენ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის უდიდესი მიღწევების გამო. საბჭოთა ადამიანმა პირველმა შეაღო კოსმოსის კარი. კოსმოსის ათვისებაში ჩვენი გამარჯვების გვირგვინია საბჭოთა ადამიანის — იური გაგარინის ტრიუმფალური გაფრენა კოსმოსური ხომალდით დედამიწის გარშემო.

ორმოცი წლის წინათ საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის, მამაცი წითელი არმიის დახმარებით დაამხეს საძულველი მენშევიკური მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ისტორიულად მოკლე დროში ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია — სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რევოლუციამდე ჩამორჩენილი საქართველო ამჟამად აწარმოებს ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, ელექტროძრავებს, კოშკურ ამწეებს, ზუსტ ხელსაწყოებს, თუჯს, ფოლადს ნაგლინს, ფეროშენადნობს, ქვანახშირს, მარგანეცს, ჩაის, შაქარს, ეთეროვან და ტუნგოს ზეთს, კოფეინს, სხვადასხვა ძვირფას ქსოვილებს.

საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავისუფლებისა და უდიდეს გამარჯვებათა ორმოც წელს. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის, სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის, შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს მშრომელებთან ერთად, კომუნიზმის გმირ მშენებლებთან ერთად, მშობლიური კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის პრესას.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ თავისი მახვილით იბრძვის ბიუროკრატების, მოლაყბეების, გამფლანგველებისა და სხვა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, იბრძვის ზოგიერთ ადამიანებში დარჩენილი გადმონაშთების — ლოთობის, უსაქმურობის, ხალხის საკუთრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ამ დიდ სახალხო ზეიმის დღეს ჟურნალი „ნიანგი“ საზეიმო აღთქმას იძლევა, რომ მისი მახვილი არ დაჩლუნგდება იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

ნახ. მ. მალაზონიასი

მხარი ლაღად გაგიშლია,
ორმოცი წლის ამირანო,
საბჭოეთის დიდ ოჯახში
ლხინობ, განა დარდიანობ,

ჩვენ ძმობამ და მეგობრობამ
შეგვაჯადუა, შეგვაერთა,
სიყვარულის სხივით გვათბობს
მ'ცე შინა და მზე გარეთა.

ეს დავლური სამაისო,
გალაღებს და როგორ გშვენის,
იდღეგრძელე საქართველო,
დაბადების დღეა შენი!

# ჩვენ გვეჯაჭვნენ:

ნახ. გ. ლომიძისა



საფრანგეთს — ელექტრომავლების წარმოებით

იტალიას, იაპონიას, ინდოეთს და მექსიკას — თუჯის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე

პაკისტანს, ირანს, ერაყს და ავღანეთს ერთად აღებულს — ელექტროენერგიის წარმოებით

აშშ-ს ოთხჯერ და საფრანგეთს სამნახევარჯერ ათას სულ მოსახლეზე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით

ᲫᲘᲣᲚ ᲕᲔᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘ

— ვერ გამიგია, იური გაგარინის მეასედიც არ გაუკეთებიათ ჩემს გმირებს და ფანტასტიკური რომანების ავტორს კი მეძახიან!

## ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲖᲔ

მასწავლებელმა ჰკითხა მოსწავლეს: დედამიწა რის გარშემო ბრუნავსო — და გაგარინის გარშემოო.

გაგარინმა თქვა: რა ხანია კოსმოსიდან დავბრუნდი, მაგრამ მიწაზე ფეხი ჯერაც ვერ დავადგი — ხალხი ხელისგულზე მატარებსო.

ცოლმა უსაყვედურა გაგარინს: მე მეგონა მარტო ჩემი თანამგზავრი იქნებოდიო.

კოსმოსში გაგარინი იკლებდა წონაში და დედამიწაზე — მტრებიო.

ასტრონომმა ჰკითხა გაგარინს: რასაც დედამიწიდან ვერა ვხედავთ, ისეთი რა დაინახე კოსმოსიდანო — და დედამიწაო.

პოეტმა ჰკითხა გაგარინს: როცა ვარსკვლავებში მიჰქროდი, პოეტურმა ოცნებამ ხომ არ გაგიტაცაო — და თვით ვიყავი გატაცებულიო.

შვილმა გაგარინს ჰკითხა: ეგ ვარსკვლავი ვინ მოგცაო — და ცაში მოვწყვიტეო.

ნოქარმა ინატრა: ნეტავ ყველას გაგარინის გული ჰქონდეს — წონაში ვაკლებდე და თავს კარგად გრძნობდესო.

საწყობის გამგემ შეაქო გაგარინი: მართლა გმირი ყოფილხარ სიცარიელე რომ აგიტანიაო.

გაგარინი ამერიკაში მიიწვიეს — და მე ერთხელ უკვე ვიყავი ამერიკაშიო.

გაგარინს ჰკითხეს: რა უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხის გულთან შენსავით ახლოს მივიდეთო — და ჩემზე შორს უნდა წახვიდეთო.

**Გ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**


Я ЗНАЮ:
ГЛУПОСТЬ — ЭДЕМЫ И РАЙ!
НО ЕСЛИ
ПЕЛОСЬ ПРО ЭТО,
ДОЛЖНО БЫТЬ
ГРУЗИЮ,
РАДОСТНЫЙ КРАЙ,
ПОДРАЗУМЕВАЛИ ПОЭТЫ
В. МАЯКОВСКИЙ

# ძველი თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მეხოლოდ. ეს წისქვილებიც დიდხანს ტრიალებდნენ და...

საბჭოთა ადამიანის მარჯვენამ მათ ადგილზე ეს სანაპირო საიმედოდ დააფუძნა.

ბორანს ხალხი მტკვარზე გადაყავდა, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა ბორანი მიჰქონდა მტკვარს.

...ეს ჩვენი მრავალ ომგადახდილი მტკვარი... ბიჭია და, ეს ხიდიც წაიღოს!

მტკვართან ერთად ძველმა რიყემაც იცოდა „ადიდება“. ის რიყე ამ ჩინოვნიკს თან გაჰყვა ნავით და...

ახლა ამ ქუჩაში თუ ბაღში მშრომელი კაცი მოაგელვებს ავტომანქანას.

ვინ იცის, ეს ცხენი რამდენ კილომეტრს გაივლიდა ვიდრე უვე-ლა თბილისელს შინ წყალს მიუტანდა!

ახლა ნატახტარი და ბულაჩაური შიგ თბილისში „ჩამოვიდა“.




## ძეგლთა გასაუბრება

— ქართვლის დედავ, რამდენი წლის ბრძანდებოთ?
— ორმოცის... ჩემო შოთა!

538
12/V 61

# მოწყვეტილი ვარსკვლავი

ისევე, როგორც დედამიწაზე — ინვენტარიზაცია, რევიზია და შემოწმება, გალაქტიკაშიც წარმოებს. იქ მთავარი ეკონომისტის მოვალეობას მთვარე ასრულებს და აღსანიშნავია, რომ საუკუნეთა მანძილზე არავითარი დანაკლისი არა ჰქონია.

და აი, 1961 წლის აპრილის შუა რიცხვებში მზემ წერილი მიიღო: „ამხ. მზეო, უკანასკნელ ხანებში თქვენს დაწესებულებაში უწესრიგობა და არევ-დარევა დაიწყო, ბევრი პლანეტა ლაქას ცხებს თქვენს ნათელ სახეს. ავიღოთ თუნდაც მთვარე, ჯერ იყო და მისმა მეორე ნახევარმა მოგვჭრა თავი, შიშველი ეჩვენა უცნობ ადამიანებს და საჩუქრად მედალიონი მიიღო. ამჟამად თქვენი ხაზინიდან მოულოდნელად გაქრა ერთი ვარსკვლავი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამაგიერო პატივისცემა იყო დედამიწისადმი. ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ მთვარე შიშისაგან ზოგჯერ ილევა და ფერს კარგავს.

სატურნიშვილი“.

მზემ საქმე ძირფესვიანად შეისწავლა და მოკლე, ნათელი ბრძანება დაწერა:

„დაუდევრობისა, ამორალური საქციელისა და ციურ სხეულთა დატაცებისათვის, გადაყენებული იქნეს სამუშაოდან მთავარი ეკონომისტი მთვარე. მზე“.

ბრძანების ასლი გასაცნობად გადაეგზავნა მთვარეს. მთვარემ მეტეორი ააგდო და თავი შეუშვირა და მზეს არზა მიართვა:

„პატივცემულო მზეო, თქვენს მიერ წამოყენებულ ბრალდებაში მე იოტის ოდენა დანაშაულიც არ მიმიძღვის. ერთ-ერთი ვარსკვლავის უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ სპეციალური აქტიც შევადგინე და გადმოგიგზავნეთ, რომლის ასლსაც გიდგენთ ამ განცხადებასთან ერთად:

„ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 1961 წლის 12 აპრილს დედამიწიდან გრიგალივით შემოიჭრა ვინმე გაგარინი, აღმოსავლეთით შემოანგრია კოსმოსის კარი, ზეციდან მოწყვიტა ვარსკვლავი და გაუჩინარდა, ის ვარსკვლავი, როგორც ამბობენ, გაგარინს დღესაც მკერდზე აბნევია“.

მზემ წაიკითხა მთვარის ახსნა-განმარტება და კიდევ უფრო მოკლე რეზოლუცია წააწერა: „ჩამოწერეთ ბალანსიდან ერთი ვარსკვლავი და აღადგინეთ მთვარე“.

აწი კიდევ ბევრი ვარსკვლავი ჩამოიწერება ბალანსიდან. აქტები ძალაში შედის ტის კაბადონზეც.

გ. მარსელი

## მინიატურები

### დამთმობი ქმარი

— ჩემო ქმარო, უკანასკნელად გაფრთხილებ, — ქალებში ნუ დახეტიალობ, თორემ მეც შენს გზას დავადგები...

— კი, გენაცვალე, ოღონდ კაცებს არ გაეკარო და იარე ჩემსავით ქალებში.

### სტრატეგი მილიციელი

— ამხანაგო მილიციელო! ხომ ხედავთ ჩხუბია და ეგ ორი ხულიგანი ერთმანეთს აწყდება? რატომ არ დაიკავებთ?!

— მოითმინეთ, მოქალაქევ! ჯერ ერთმანეთი კარგად დაამტვრიონ და მერე ორივეს ადვილად მოვერევი.

### ენამწარე შეუვარებულთან

— რატომ მომაშტერე თვალები, ჩემო სიცოცხლევ?

— მიყვარს სიცარიელეში ცქერა, ჩემო ღვთაებავ.

ფარსადან ფულუკიძე

* * *

რესტორნის გამგეს ჰკითხეს: — ოფიციანტი რატომ დაითხოვე, რა ნაკლი ჰქონდაო?

— იმ შეჩვენებულმა შეკრება შესანიშნავად იცოდა და გამრავლება-გაყოფა ვერაფრით ვერ ვასწავლეო.

ნოქარს ჰკითხეს: — ახლანდელი ქალები ასე მოკლე კაბებს რად იკერავენო?..

— ჯერ მე მოვპარე, შემდეგ მკერავმა და მაშ რა იქნებაო!

ერთმა კაცმა მეგობარს შესთავაზა: — წამოდი, „სევილიელი დალაქი“ ვნახოთო.

— სწორედ კარგ დროს მოიგონე, მეც გასაპარსი ვარო.

ა. ქადაგიძე




### ერთხელ, ისიც შემთხვევით

— მამა, რვაჯერ ხუთი რამდენია?

— ახლა არ მცალია, შვილო, თეატრში მივდივარ 40 წლის იუბილეზე.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
**რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 8-76-69, საერთო განყოფილების — 8-10-49**

ხელმოწ. დასაბ. 27/IV-1961 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 782. ფფ 02449. ტირაჟი 40.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბელმა ხალხმა განვლო ხანგრძლივი მკაცრი და მძიმე სკოლა ბრძოლისა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ მჩაგვრელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ, და იგი არ დაიჩოქებს, არავის მისცემს ნებას კვლავ დაადგან მას უცხოელ დამმონებელთა უღელი. კუბის მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობა, ყველა პატიოსანი ადამიანი.

(სსრ კავშირის მთავრობის განცხადებიდან).

კუბა — ჰო, იანკი — არა!

ნახ. გ. ლომსიძისა